ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/07/18-180

ქ. თბილისი 10 ივლისი, 2018 წ.

ერთის მხრივ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი წარმომადგენლის, სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის ნინო ინწკირველის და მეორეს მხრივ შპს ,,გამომცემლობა ბაკმი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ბონდო მააბერიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №**SPA180005317** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ'' ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.1.6 თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით, წიგნის (,,ვეფხისტყაოსანი") ბეჭდვის მომსახურების (CPV-79820000) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) დანართი №1 – ფასების ცხრილი;

გ) დანართი №2 – ტექნიკური დავალება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 89,460.00 (ოთხმოცდაცხრა ათას ოთხასსამოცი) ლარი, ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (დღგ-ს გარეშე).

3.2 მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი ერთეულის ფასის მითითებით თან ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით.

3.3 დაფინანსების წყარო: სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები (პროგრამა ,,სააგენტოს საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის").

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება მისამართზე ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 67ა, ეტაპობრივად, შემდეგი ვადების შესაბამისად:

1. 1500 ცალი არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში;
2. 1500 ცალი არაუგვიანეს 2018 წლის 31 აგვისტოსი;
3. 1500 ცალი არაუგვიანეს 2018 წლის 10 ოქტომბრისა.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) ხელშეკრულების დადების შემდგომ, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის დამზადების ნებისმიერ ეტაპზე დაუშვას შემსყიდველის წარმომადგენელი დამზადების პროცესის დაკვირვების (ინსპექტირებისთვის) მიზნით.

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებენ სააგენტოს მარკეტინგული კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ეკა მამალაძე და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ანდრო შალიკაშვილი, ხოლო ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი მარინე გვრიტიშვილი;

5.2 საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი ნებისმიერ დროს.

6. შეფუთვა

6.1 მოსაწოდებელი საქონელი მიწოდებლის შეხედულებისამბერ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტრანსპორტირებისას შესყიდვის ობიექტის დაზიანება.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1 მისაწოდებელი საქონელი შემსყიდველს ბარდება მე–6 მუხლით გათვალისწინებულ შეფუთულ მდგომარეობაში. შემსყიდველს შეუძლია უარი თქვას საქონლის ჩაბარებაზე შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში.

7.2 მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

7.3 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

7.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებეული საქონლის მიწოდებისას მხარეები შერჩევის მეთოდით ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ვიზუალურ დათვალიერებას ან/და, რის შემდგომაც დგება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.

9. გარანტია

9.1 საქონლის შემოწმების პროცესში (როგორც პირველადი მიწოდებისას, ასევე ნებისმიერ ეტაპზე), ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას ხარვეზის არსებობის შესახებ შეტყობინების შემდგომ გონივრულ ვადაში (ხარვეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად), მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში) და აანაზღაუროს საქონლის შემოწმების მიზნით შემსყიდველის მიერ დახარჯული თანხა.

10. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება, ეტაპობრივი.

2. ანგარიშსწორების ვადა - საქონლის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღე.

3. ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) და სასაქონლო ზედნადები.

11. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

12.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

12.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

12.5. თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 20 (ოცი) დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.7 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

12.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. სხვა პირობები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. #67ა
სახელმწიფო ხაზინა
BIC კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ 202 307 404

სააგენტოს მხარდაჭერის
დეპარტამენტის დირექტორი

ნინო ინწკირველი

მიმწოდებელი:

შპს ,,გამომცემლობა ბაკმი''
ქ. თბილისი,
რობაქიძის #7
სს ,,თიბისი ბანკი''
BIC კოდი: TBCBGE22
ა/ა GE33TB7045436060100001
ს/კ 205050950

შპს ,,გამომცემლობა ბაკმი''-ს
დირექტორი

ბონდო მაცაბერიძე

ფასების ცხრილი

შესყიდვის ობიექტი	წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი კომპანია	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
წიგნი „ვეფხისტყაოსანი“	კომპანიის სახელი: IMAK OFSET BASIM YAYIN TICARET ve SANAYI LTD SIRKETI საიდენტიფიკაციო კოდი: 474 006 4175 ტელ.: +90 444 6 218 fax.: +90 212 656 29 26 www.imakofset.com.tr	4 500 ცალი	19 ლარი 88 თ.	89 460 ლარი

პრეტენდენტის ხელმოწერა

„გამომცემლობა-ბაკმის“ დირექტორი ზ. მაცაბერიძე

შენიშვნა: შესყიდვის ობიექტის ღირებულება უნდა მოიცავდეს მის დამზადებასთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებს, რისი გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს (დღგ-ს გარეშე).

დანართი №2

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“

„გამომცემლობა-ბაკმი“ გამოთქვამს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში.

წიგნის „ვეფხისტყაოსანი“ საგამომცემლო მომზადება, დაკაბადონება, დაბეჭდვა და მზა პროდუქციის სახით შემკვეთზე მიწოდება.

„გამომცემლობა-ბაკმი“ მზადაა შეასრულოს და დაიცვას შემკვეთის მიერ მითითებული ყველა პირობა. კერძოდ:

1. **ყდის მახასიათებლები:**

1.1 ყდის გარეკანი მუყაოზე გადაკრული ფერადი ნაბეჭდი ლამინირებული ქაღალდი, ყუაში თერმოაქტიული ტყავით;

1.2 მუყაოზე გადასაკრავი ქაღალდი: 170 გრ.გლუვი ცარცი; ბეჭდვა 4/0; ერთ მხარეს გლუვი ლამინაციით;

1.3 მუყაოს სისქე 3 (±0.2) მმ-იანი;

1.4 თერმოაქტიული ტყავი: კრემისფერი (კონკრეტული ფერი შეთანხმდება შემსყიდველთან);

1.5 ყდის ბრენდირების (წარწერის) ფერი - ღია ყავისფერი C:40 M:45 Y: 50 K:28;

1.6 წიგნის ზომა: სიგანე 11,5 (±0.2) სმ, სიმაღლე 16,0 (±0.2) სმ.

1.7 ყდის წინა მხარეს განთავსდება წარწერა ,,ვეფხისტყაოსანი“. შრიფტით - GeoKikabidze ზომა 40.5 pt - მარჯვენა ზედა და მარცხენა ზედა და ქვედა კუთხეებში ორნამენტები როგორც სურათზეა ნაჩვენები.

1.8 ყდის უკანა გვერდზე, შუაში და ქვემოთ დატანილი იქნება შემსყიდველის (სსგს-სა და იუსტიციის სამინისტროს ლოგო - ქართულ ენაზე. სსგს ლოგო სიგანე 34.5მმ სიგრძე 8,54 მმ იუსტიციის სამინისტროს ლოგო სიგანე 17.848 მმ სიმაღლე 6,514 მმ);

1.9 წიგნის ყუაზე განთავსებული წარწერა ,,ვეფხისტყაოსანი“ , შრიფტით GeoKikabidze; ზომა 28 pt;

1.10 ყდის დიზაინის სამუშაო ფაილს PDF ფორმატის სახით შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში

2. **ყდის შიდა გვერდები**

1.5 წინა და უკანა ყდების შიდა ორი გვერდი (ყდების შესამოსი მასალა) - ფორზაცი ბეჭდვის გარეშე, ქაღალდი მოყვითალო ფერის 160 გრ. აივორი;

3. სატიტულო ფურცელი (ცარცი)

3.1 სატიტულო ფურცლის პირველ გვერდზე განთავსდება: შუაში მარჯვენა მხარეს წარწერა შრიფტით - GeoKikabidze „შოთა რუსთაველი“ ზომით 40 pt და მის ქვემოთ წარწერა ,,ვეფხისტყაოსანი“ ზომით 28 pt (სატიტულო ფურცლის პირველ გვერდის დიზაინის სამუშაო ფაილს PDF ფორმატის სახით შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში);

3.2 წიგნის ბოლო (400) გვერდზე განთავსებული იქნება შემდეგი ინფორმაცია: 1. გამომცემლობის შესახებ; 2. წიგნის ავტორის შესახებ; 3. ილუსტრაციების ავტორის შესახებ; 4. „ილუსტრაციები დაცულია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის ფოტო ფიქსაციიც ლაბორატორიაში“; 5. დამკვეთი ორგანიზაციის შესახებ; 6. დიზაინერი სტამბა ISBN-ის შესახებ და 7. „ყველა უფლება დაცულია“.

4. წიგნის შიდა გვერდები

4.1 გვერდების დანომრვა მოხდება გვერდის შუაში, რომელიც დაიწყება უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ დაწყებისას (პოემის ტექსტი დაწყების გვერდიდან);

4.2 შიდა გვერდებზე დასატანი ძირითადი ტექსტი (პოემის) შრიფტით, AZimediNusx (შრიფტის ფონტი გადაეცემა გამარჯვებულ პრეტენდენტს ხელშეკრულების გაფორმებისას); ზომა 9 pt, თითოეული თავის შრიფტის ზომა 12 pt;

4.3 შიდა გვერდების მასალა 115 გრ. ცარცი, გლუვი;

4.4 თითოეულ გვერდზე განთავსდება არაუმეტეს 5 სტროფი.

4.5 წიგნის შიდა გვერდების რაოდენობა არ აღემატება 400-ს;

4.6 პოემის სტროფები იქნება დანომრილი;

4.7 ილუსტრაციები უნდა შეესაბამებოდეს ტექსტს (სულ 12 ილუსტრაცია, რომლებიც მიმწოდებელს შემსყიდველი გადასცემს ხელშეკრულების დადებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი სახით TIFF ფორმატით);

4.8 სურათებისთვის ცალკე იქნება გამოყოფილი გვერდები;

4.9 წიგნის ბოლოს დატანილი იქნება სარჩევი;

4.10 აკინძვა ძაფზე + თერმული;

4.11 ბეჭდვა 4+4, რომელიც დაფარული იქნება დისპერსიული (დამცავი) ლაქით (დისპრესიული ლაქით უნდა დაიფაროს წიგნის ყველა ფურცელი);

4.12 შიგთავსის ბლოკის კიდეების ფოლგირება მოხდება ოქროსფრად;

4.13 წიგნის სანიშნი იქნება ოქროსფერი ატლასი.

5. წიგნის ჩასადები:

5.1 ყუთი უნდა წარმოადგენდეს მუყაოზე გადაკრულ ფერად ნაბეჭდ ლამინირებულ ქაღალდს. მუყაო 3 (±0.2) მმ. მუყაოზე გადასაკრავი ქაღალდი : 170 გრ. გლუვი ცარცი; ბეჭდვით 4/0 (ფერადი, ცალმხრივი); ცალი მხრიდან გლუვი ლამინაციით 1/0; მუყაოს შიდა მხარეს გადაკრული ქაღალდი: 191 გრ. სტიკერი, რომელიც დაფინილი იქნება კრემისფრად;

5.2 წიგნის ჩასადების ზომები : სიგანე 12,6 x სიმაღლე 17,5 სმ.

5.3 ყუთის წინა მხარეს განთავსებულიიქნება წარწერა ,,ვეფხისტყაოსანი".
შრიფტით - Geo Kikabidze; ზომა 40.5 pt;

5.4 ფერი: ყავისფერი : C40 M:45 Y:50 K: 28 წარწერის ფერი: ოქროსფერი C:0 M:20 Y:60 K:20.

5.5. ყუთის დიზაინის სამუშაო ფაილს PDF ფორმატის სახით შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

გამომცემლობა-ბაკმის
დირექტორი

ბ. მაცაბერიძე